ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32

2010 წლის 29 სექტემბერი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების, პირობებისა და I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №57 - სსმV, №59, 03.12.2010 წ., მუხ.1802

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ , „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით დასაშვებია ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, გარდა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთისა, მაგრამ მოხდა მისი გამოყოფა და დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად რეგისტრაცია თუ:

ა) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შესაბამისად, შენობა-ნაგებობა განეკუთვნება ზონების ტერიტორიაზე უძრავი ქონების (ობიექტების) გამოყენების ნებადართულ სახეობებს;

ბ) შენობა-ნაგებობების ნებისმიერი ფასადი არ არის განთავსებული ქუჩაზე, ავტომაგისტრალზე, გზაზე ან განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩის, მოედნის, ხიდის, სკვერის, პარკის, ბაღის, მიწის ნაკვეთებს შორის არსებული გასასვლელებისა და სხვა სივრცეების, ასევე სხვა საზოგადოებრივი ტერიტორიების (სივრცის) უშუალოდ მომიჯნავედ.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №57 - სსმV, №59, 03.12.2010 წ., მუხ.1802

მუხლი 2

წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის მიზნებისათვის შენობა-ნაგებობის ფასადი არ ითვლება ქუჩაზე, ავტომაგისტრალზე ან გზაზე განთავსებულად ან/და განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩის, ხიდის, სკვერის, პარკის, ბაღის, მიწის ნაკვეთებს შორის არსებული გასასვლელებისა და სხვა სივრცეების, ასევე სხვა საზოგადოებრივი ტერიტორიების (სივრცის) უშუალოდ მომიჯნავედ განთავსებულად, თუ შენობა-ნაგებობისა და წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საზოგადოებრივ ტერიტორიას (სივრცის) შორის უკვე არსებული შენობა-ნაგებობა ან/და მიწასთან მყარად დაკავშირებული სხვა ობიექტი (მათ შორის ღობე) მთლიანად ფარავს ასაშენებელ შენობა-ნაგებობას საზოგადოებრივი ტერიტორიის (სივრცის) მხარეს განთავსებულ ფასადს.

მუხლი 3

წინამდებარე დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისას, რომელიც გამოიყენებს სამყოფად (საცხოვრებლად), მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან/და მოსარგებლე ვალდებულია განცხადებას (მშენებლობის ნებართვის) გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ, „საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვლისწინებული დოკუმენტების გარდა, დამატებით დაურთოს მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/ დასკვნა.

მუხლი 4

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ მშენებლობის ნებართვის გაცემის წესებისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის 1-პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინება შენობა-ნაგებობის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით დასაშვებია ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, გარდა კანონმდებლობის შესაბამისად მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთებისა, აგრეთვე იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიკუთვნებული იყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე, მაგრამ მოხდა მისი გამოყოფა დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად რეგისტრაცია.

მუხლი 5

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ მშენებლობის ნებართვის გაცემის წესებისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართვწლოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით დასაშვებია ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე.

მუხლი 6

პირველი კლასის ნებისმიერი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე დადგენილების ერთი – ხუთი პუნქტის მოთხოვნებს, საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, რაც გაიცემა მეორე კლასის მშენებლობისთვის დადგენილი წესით.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №57 - სსმV, №59, 03.12.2010 წ., მუხ.1802

მუხლი 7

წინამდებარე დადგენილების მოქმედება ვრცელდება 1-ლ კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის სახეობაზე, გარდა 1-ლ კლასს დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა.

მუხლი 8

წინამდებარე დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესებისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს.

მუხლი 9

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ხონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: მოსე ხონელის №11) უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში

მუხლი 10

ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. გელენიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №57 - სსმV, №59, 03.12.2010 წ., მუხ.1802